თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2032080

ნომერი: AR1328581

თარიღი : 21.07.2015

გაცემის თარიღი : 28.07.2015

გაცნობის თარიღი : 29.07.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტ.ტაბიძის ქ. N124 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი საზოგადოებრივი შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კახაბერ აბულაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,GD Group,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401978598

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,GD Group,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401978598
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაზა ქოჩიაშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01022001326

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 621114
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.04.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების 57–ე მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად, „თუ დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართავს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მშენებლობის ახალი ნებართვის მიღება." შესაბამისად, ვინაიდან, 02.04.2013წ. №621114 ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 02.07.2015 წ-ის ჩათვლით, ხოლო განცხადება მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ წარმოდგენილ იქნა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ (21/07/2015 წ.), ვადის გაგრძელება შეუძლებელია და საჭიროა მშენებლობის ახალი ნებართვის მიღება. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით შეჩერდა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.04.2013წ. №621114 ბრძანების მოქმდება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას კარგავს მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ ასევე მითითებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მაგული ხუნწარიას სარჩელი ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 18 მარტის #498 განკარგულების ბათილად ცნობის და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.04.2013წ. №621114 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დღეის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული, შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.04.2013წ. №621114 ბრძანების მოქმედება კვლავ შეჩერებულია და სამსახური ვერ იმსჯელებს 02.04.2013წ. №621114 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.